



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 08 ივლისის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: ბორჯომი, ბარათაშვილის ქ. #9.
სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე.

საკითხი 1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე და წევრებს შესთავაზა, თითოეული სამოსამართლო კანდიდატის კვალიფიკაციისა და უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, დააკვირდებიან პროცესს და სამართლიანად და მიუკერძოებლად შეაფასებენ შესარჩევ კანდიდატებს, USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფორმირება ასოციაციის მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრობით, რომელთაც უკვე აქვთ გამოცდილება კანდიდატთა შერჩევის პროცესის დაკვირვებისა და შეფასების მიმართულებით. დასახელდნენ

შემდეგი კანდიდატები: ლოლა კურკუმული (კომიტეტის თავმჯდომარე), ეკა ლომიძე (კომიტეტის თანა-თავმჯდომარე), სოფიო სოხაძე (კომიტეტის წევრი), ეკატერინე გეწაძე (კომიტეტის წევრი) და ლია ჭაჭუკაშვილი (კომიტეტის წევრი).

წევრებმა სრულად გაიზიარეს თავმჯდომარის პოზიცია და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, თითოეული სამოსამართლო კანდიდატის კვალიფიკაციისა და უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასების პროცესის წარმართვისათვის შეიქნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ლოლა კურკუმული (კომიტეტის თავმჯდომარე), ეკა ლომიძე (კომიტეტის თანა-თავმჯდომარე), სოფიო სოხაძე (კომიტეტის წევრი), ეკატერინე გეწაძე (კომიტეტის წევრი) და ლია ჭაჭუკაშვილი (კომიტეტის წევრი).

(ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები დააკვირდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს და თითოეული სამოსამართლო კანდიდატის კვალიფიკაციისა და უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტსა და ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს წარუდგინონ შეფასებები, USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე